

## სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

### ოქმი №7

**სხდომა გაიმართა** სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2021 წლის 19 ივლისს (სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე, დამთავრდა 12:00 სთ-ზე).

**სხდომას ესწრებოდნენ:** სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ - ბ. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ნ. ალანია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარედ - ბადრი ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ზაზა ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ინგა ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ბეჟანი სანაია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე - ზურაბი წურწუშია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოადგილე - დინარა ხარბედია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე - ავ. ფოცხვერია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის მოადგილე - გ. ხუხუნი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობი“-ს თავმჯდომარის მოადგილე - მ. მირცხულავა, საკრებულოს წევრები: თ. სალაყაია; ზ. სანაია; მ. ადამია; პ. ჯიქიძე; ნ. შამათვა; რ. ქამადაძე; შ. კოკაია, ე. ცაგურია; ი. ქოროძე; თ. ვაჰანია.

**ასევე ესწრებოდა:** სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირები: გ. ჯანაშია; ს. მორგოშია; მ. ჯანაშია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი – ვ. რუსია, აპარატის თანამშრომლები.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ - ბადრი კალანდარიშვილი.

### დღის წესრიგი:

1. „სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 3 ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილი/წერტილის შპს „რკინიგზის ტელეკომისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის და წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

2. „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა სახეობების (რომელთა განთავსება/მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე იქნება შესაძლებელი) და პირობების განსაზღვრის შესახებ“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მ/შ – გ. ხუხუნი

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 21; წინააღმდეგი – 0;) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

**მოისმინეს: 1. „სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 3 ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილი/წერტილის შპს „რკინიგზის ტელეკომისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის და წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე“**

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – „სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 3 ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილი/წერტილის შპს „რკინიგზის ტელეკომისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის და წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე“.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 21; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადასცეს შპს „რკინიგზის ტელეკომს“ სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში (ჭავჭავაძის ქუჩა-2 ცალი ბოძი, ქურდოვანიძის ქუჩა-1ცალი ბოძი) მდებარე 3 ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილი/წერტილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსებისათვის.

2. სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემის წლიური საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენს 2(ორი) ლარს 1 ერთეული ხაზოვანი ნაგებობის/გარე განათების კონსტრუქციების ნაწილის/წერტილის გამოყენებისათვის, სულ 6 ლარი.

3. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247)

**მოისმინეს: 2. „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა სახეობების (რომელთა განთავსება/მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე იქნება შესაძლებელი) და პირობების განსაზღვრის შესახებ“**

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მ/შ – გ. ხუბუნი

მომხენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი – „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა სახეობების (რომელთა განთავსება/მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე იქნება შესაძლებელი) და პირობების განსაზღვრის შესახებ“.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 21; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **და ა ა დ გ ი ნ ა:**

#### **მუხლი 1**

დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა სახეობების (რომელთა განთავსება/მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე იქნება შესაძლებელი) და პირობების განსაზღვრის წესი დანართი №1-ის შესაბამისად.

#### **მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა სახეობების (რომელთა განთავსება/მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე იქნება შესაძლებელი) და პირობების განსაზღვრის შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 იანვრის №13 დადგენილება.

#### **მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, გარდა წესის მე-2 მუხლის 2.5 პუნქტისა.

#### **მუხლი 4**

ამ დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის 2.5 პუნქტი ამოქმედდეს 2022 წლის პირველი იანვრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ბადრი კალანდარიშვილი

სხდომის მდივანი:

მანანა სიორდია